

ძალადაკარგულია
საქართველოს მთავრობის
09/05/2012 N 360
დადგენილებით

საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N 411 2010 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების
განმახორციელებელ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის
დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დამტკიცდეს:

- ა) საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ პირთა ნუსხა (დანართი N1);
- ბ) სახელმწიფო საწარმოთა ნუსხა (დანართი N2).

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური

დანართი N1

საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ
პირთა ნუსხა

საწარმოებს დასაბეგრი ქონების ღირებულების განსაზღვრის მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა-დ« ქვეპუნქტების მიხედვით გათვალისწინებული აფასების ვალდებულება არ წარმოემობათ, თუ ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას აღრიცხავენ გადაფასების მეთოდის გამოყენებით და გააჩნიათ ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება:

- ა) ფრანსისკოთერჰაუსკუპერს (PricewaterhouseCoopers);
- ბ) დელოიტი (Deloitte);
- გ) ქეი-ფი-ემ-ჯი (KPMG);
- დ) ერნსტ ენდ იანგი (Ernst & Young);
- ე) გრანთ თორნთონ (Grant Thornton);
- ვ) ბიდიო (BDO);
- ზ) ბეიკერ ტილი (Baker Tilly);
- თ) სმიტ ენდ ვილიამსონი (Smith & Williamson);

- ი) შპს „კაპტო ჯგუფი“ (RSM-ის წევრი); (17.08.2012 N 333)
- კ) პი-ქეი-ეფ (PKF).

დანართი N2

სახელმწიფო საწარმოთა ნუსხა

დასაბეგრი ქონების ღირებულების განსაზღვრის მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა-დ« ქვეპუნქტების მიხედვით გათვალისწინებული აფასების ვალდებულება არ წარმოეშობათ შემდეგ სახელმწიფო საწარმოებს:

- ა) შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას«;
- ბ) შპს „ენგურჰესს«;
- გ) სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა „საქრუსენერგოს«;
- დ) შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას«;
- ე) შპს „საქართველოს რკინიგზას«;
- ვ) შპს „რეილვეი ფროფერტი მენეჯმენტს«;
- ზ) შპს „რკინიგზის ტელეკომს«;
- თ) შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერს«;
- ი) შპს „ჯორჯიან რეილვეი ქონსტრაქშენს«;
- კ) შპს „ვარდნილჰესების კასკადს«;
- ლ) შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას.
- მ) შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას. (11.03.2011 N 123)